არასამეწარმეო (არაკომერციული)იურიდიული პირი
კოლეჯი „განთიადი“

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა N 50
20 მაისი 2025 წელი

ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის ბრძანების №72- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23 -ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის კოლეჯ „განთიადის“ წესდების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ „თ“ „ მ“ ქვეპუნქტების, გათვალისწინებით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“დირექტორის 2020 წლის 16 ოქტომბრის ბრძანების №72- „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ შევიდეს ცვლილება შემდეგ მუხლებში,კერძოდ

მე-5. მუხლის პუნქტი- 5.1. „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება .“

მე-5. მუხლის პუნქტი- 5.1.-დან. ამოღებული იქნეს „ზ“ ქვეპუნქტი

მე-5. მუხლის პუნქტი- 5.11. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.11.კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე ან დაწესებულებამ დაკარგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა, პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუს შეჩერებულ პირად.“

მე-10 მუხლის შემდეგი პუნქტები მე-10.1; მე-10.2; **მე-**10.3; მე- 10.4**; მე-**10.5; მე-10.6. და მე-10.10 ამოღებული იქნას

მე-10 მუხლის შემდეგი პუნქტები- მე-10.7; მე-10.8; და მე-10.9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

10.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

10.8.პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/ გაუქმების შემთხვევაში გადავიდეს იმავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

10.9.პროფესიულ სტუდენსტს უფლებს აქვს,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში,დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

მე -12. მუხლის შემდეგი პუნქტი 12.1. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„12.1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების მინიჭება ხდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე.

მე -12. მუხლის შემდეგი პუნქტი 12.6.4. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

12.6.4.მოდულის დასრულების შემდეგ აღნიშნული მტკიცებულებები გადაეცემა სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს და შეინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

მე -13. მუხლის შემდეგი პუნქტი 13.4. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13.4. შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინდივიდუალური კონსულტაციების,/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის,/ ადმინისტრაციის და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირთა მეშვეობით.“

მე -14. მუხლის შემდეგი პუნქტი 14.1. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

14.1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული ან/და სხვა ობიექტორი გარემოებების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას(პროექტს) შეიმუშავებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად, და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით

მე-14. მუხლის პუნქტი- 14.5.1. „ბ“, „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ ბ)პროფესიული განათლების მასწავლებელი ავსებს სტუდენტის აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტას, რის დახმარებითაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად დადგენს პროფესიული სტუდენტის საჭიროებას.“

„დ)პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლაში არსებული სირთულეების აღმოჩენისთანავე ატყობინებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შემდგომი რეაგირების მიზნით“

„ზ)ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მუდმივად თანამშრომლობს და ახდენს პროფესიული განათლების მასწავლებლების და არასრულწლოვანი სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მშობლის ან მეურვის კონსულტირებას.“

მე-15 მუხლის პუნქტი-15.6. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„15.6.სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამებისა და სასწავლო ტრენინგ-კურსების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა სერტიფიკატი.”

მე-15 მუხლის შემდეგი პუნქტები-15.7 და 15.8. ამოღებულ იქნას.

მე-16 მუხლის- შმდეგი პუნქტი-16.3. ამოღებულ იქნას.

მე-17 მუხლის შემდეგი პუნქტები-17.3 და 17.4. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 17.2.მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი, განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე იღებს, პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური ინფორმირება ხორციელდება კონფიდენციალურობის დაცვით."

„17.3.პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში/(ზეპირად ან/და წერილობით) გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები, კონსულტაციების გრაფიკს და ფორმებს (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა)ადგენს სასწავლო პროცესის და სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით"

მე-17 მუხლის შემდეგი პუნქტები- 17.4 . 17.5. და 17.9. ამოღებულ იქნას.

მე-17 მუხლის პუნქტი- 17.10 -დან ამოღებულ იქნებს „დ"ქვეპუნქტი.

მე-17 მუხლის შემდეგი პუნქტები-17.11. და 17.12. ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„17.11. კოლეჯის თანამშრომლები ზრუნავენ პროფესიული სტუდენტების საჭიროებების გაუმჯობესებაზე "

„17.12. ამ მუხლის 17.10-ე პუნქტის „ა" „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეჯის თანამშრომელები უწევენ მომსახურებას პროფესიულ სტუდენტს, მომსახურების დროს თუ გამოიკვეთა ახალი გარემოებები, ხარვეზები, თანამშრომელი ვალდებულია გაუზიაროს აღნიშნული უშუალოდ დირექტორს, გატარდება შესაბამისი ზომები.

2.დაევალოს ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის" საქმისმწარმოებელს/არქივარიუსს ნინო ყაზარაშვილს, წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობა.

3.ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4.წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის შემდეგ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, გორის რაიონულ სასამართლოში (ქ.გორი,სერგო ჯორბენაძის N30).

დირექტორის

მოვალეობის შემსრულებელი ანა დათუაშვილი

საქართველო GEORGIA. NINILE COLLEGE "განთიადი" "GANTIADI" 21769192

დანართი N1
დამტკიცებულია
ა(ა)იპკოლეჯ„განთიადის“დირექტორის
2020 წლის 16 ოქტომბრის ბრძანებით N72

შესულია ცვლილება: ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის

2021წლის 12 მარტის ბრძანებით N15

შესულია ცვლილება: ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის მ/შ

2025 წლის 28 თებერვლის ბრძანებით N20

შესულია ცვლილება: ა(ა)იპ კოლეჯ „განთიადის“ დირექტორის მ/შ

2025 წლის 28 მარტის ბრძანებით N 50

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) კოლეჯი - ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - (შემდგომში მოდულური პროგრამა) სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის/მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი რომლითაც განისაზღვრება მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, შესაბამისი კვალიფიკაციის/ კვალიფიკაციების მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა, მისაღწევი სწავლის შედეგები, იმ მოდულების ერთობლიობა, რომლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა აუცილებელია კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების მისანიჭებლად, შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე/ საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების და ამ პროგრამის/პროგრამების განხორციელების წინაპირობები, დასაქმების სფეროები და საგანმანათლებლო პროგრამის/საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (მათი არსებობის შემთხვევაში). ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობა;

დ) სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება – პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ამ პროგრამით

გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით)

ე) **მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა** - ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-5 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამის იმ საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც აგრეთვე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე;

ვ) **საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,** რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები - ეროვნული სასწავლო გეგმის საშუალო საფეხურის მოთხოვნების ასახვა პროგრამის იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია საკვანძო კომპეტენციების ან/და ტრანსფერული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზე.

ზ) **ინსტრუქტორი** - საწარმოს/კომპანიის მიერ პროფესიული სტუდენტ(ებ)ის სწავლებისა და შეფასებისათვის გამოყოფილი შესაბამისი კვალიფიკაციის/სამუშაო გამოცდილების მქონე პირი;

თ) **ჩანაწერების ჟურნალი** - დაწესებულების მიერ, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტთა სარგებლობისათვის შემუშავებული ჩანაწერების ერთობლიობა, რომელსაც აწარმოებს პროფესიული სტუდენტი კალენდარული გეგმის შესაბამისად. პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოებული ჟურნალის ჩანაწერებს ხელმოწერით ადასტურებს ინსტრუქტორი, რომელიც ზედამხედველობას უწევს მუშაობის პროცესში სტუდენტის მიერ შესრულებულ სამუშაოს;

ი) **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე ან იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც ხორციელდება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით;

კ) **მსმენელი** - პირი, რომელიც სწავლობს პროფესიული მომზადების პროგრამაზე, პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ან/და სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამაზე;

ლ) **მოდული** – პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის ფარგლებში არსებული ან დამოუკიდებლად შემუშავებული კომპონენტი, რომელიც აერთიანებს ერთმანეთთან ლოგიკურად დაკავშირებულ სწავლის შედეგებს, აღწერს მათი მიღწევის გზებს, საშუალებებსა და დადასტურების პირობებს;

მ) **კომპეტენცია** – სწავლის შედეგების შესაბამის კონტექსტში (სწავლის ან საქმიანობის პროცესში,პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის) ადეკვატურად გამოყენების

შესაძლებლობა;

ნ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც მოიცავს დადასტურებული სწავლის შედეგების ერთობლიობას,რომელიც შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იქნეს აღიარებული ერთი ან რამდენიმე კვალიფიკაციის მისაღებად;

ო) **კვალიფიკაცია** – უფლებამოსილი დაწესებულების/დაწესებულებების მიერ სწავლის შედეგის მიღწევის შეფასებისა და დადასტურების ფორმალური შედეგი, რომელიც დასტურდება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით;

პ)ასოცირებული ხარისხი - კვალიფიკაცია, რომელიც პირს ენიჭება მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებით დასრულებისა და კრედიტის შესაბამისი რაოდენობის დაგროვების შედეგად;
ჟ) **დიპლომი** - უფლებამოსილი დაწესებულების მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

რ) სერტიფიკატი – კოლეჯის მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს პირის მიერ პროფესიული მომზადების პროგრამით ან პროფესიული გადამზადების პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგის, აგრეთვე ცალკეული მოდულებით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევას;

ს)შიდა სერტიფიკატი - ტრენინგ-კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი

ტ) დიპლომის დანართი/სერტიფიკატის დანართი – დოკუმენტი, რომელსაც დიპლომთან/სერტიფიკატთან ერთად გასცემს საგანმანათლებლო დაწესებულება პროფესიული სტუდენტის მიერ მიღებული განათლების შინაარსის დასადასტურებლად;

უ) ფორმალური განათლება – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს „ცოდნისა და გაცნობიერების", „უნარის" ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის" შეძენას და აღნიშნულის სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებას;

ფ) **არაფორმალური განათლება** – მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი;

ქ) **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა** – შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის (მათ შორის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის ან/და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის) საჭიროებისთვის მორგებული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამას/პროფესიული მომზადების პროგრამას/პროფესიული გადამზადების პროგრამას/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს;

ღ) **ინკლუზიური პროფესიული განათლება** – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა პროფესიული სტუდენტისა და მსმენელისათვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება;

ყ)სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი – პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას

შ) **პროფესიული განათლების მასწავლებელი** - პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში;

ჩ) **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის დროებით შეჩერება, რომელიც არ გულისხმობს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

ც) **პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა** - პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა და კოლეჯში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა სახელობითი სიიდან მისი ამორიცხვა. დაწესებულებისა და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე;

ძ) **გარე მობილობა** - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებიდან (შემდგომში – დაწესებულება) სხვა დაწესებულებაში გადასვლა;

წ) **შიდა მობილობა** - პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯის ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამიდან (შემდგომში – პროგრამა) სხვა პროფესიულ ან მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა.

მუხლი 2. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, განხორციელება

2.1. კოლეჯი უფლებამოსილია შეიმუშავოს და განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მტკიცდება უფლებამოსილი პირის კოლეჯის დირექტორის მიერ.

2.2. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის გაანგარიშება ხდება კრედიტებით.

2.3.მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეხუთე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგების შესაბამისად, რომლის შექმნის საფუძველია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი და რომელიც უკავშირდება ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეშვიდე დონისათვის განსაზღვრული განზოგადებული სწავლის შედეგებს და საგანმანათლებლო პროგრამას, რომელიც ასევე გადის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მეექვსე დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებზე.

2.4. მოკლე ციკლის პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები დგინდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, პროგრამაზე ჩარიცხვის წესსა და პირობებს ადგენს სამინისტრო.

2.5. კოლეჯს უფლება აქვს განახორციელოს მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ ის ნაწილი/მხოლოდ ის მოდული, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს ავტორიზაციით.

2.6. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და დამატება ხდება კოლეჯში დადგენილი რეგულაციების შესაბამისად.

2.7. მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება ასოცირებული ხარისხი

მუხლი 3. სახელმწიფო ენაში მომზადების და მოკლევადიანი სასწავლო

ტრენინგ - კურსების შემუშავება და განხორციელება.

3.1.სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამების შემუშავება ხდება კოლეჯის მიერ მათი განხორციელების უფლების მოპოვების შემთხვევაში, ხოლო მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის შემუშავება ხდება მსურველთა მოთხოვნების შესწავლის საფუძველზე კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ პროფესიული მასწავლებელთან თანამშრომლობით.

3.2.კოლეჯის მიერ შემუშავებული მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის საფასური განისაზღვრება პროგრამის განხოციელებისთვის საჭირო აუცილებელი რესურსების დანახარჯის (ადამიანური და მატერიალური) დაანგარიშების შესაბამისად

3.3.მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის ბიუჯეტის დაგეგმვასა და განკარგვაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ხელმძღვანელობა

3.4.მოკლევადიანი ტრენინგ - კურსის განხორციელებაზე პასუხისმგებელია კოლეჯის ადმინისტრაცია.

3.5.მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსის განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

3.6.მოკლევადიანი სასწავლო ტრენინგ - კურსები მტკიცდება კოლეჯის უფლებამოსილი პირის, დირექტორის, მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

მუხლი 4 .პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება.

(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით)

4.1.საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ყველას აქვს უფლება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, ისარგებლოს პროფესიული განათლების მიღების უფლებით. პირის მიერ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

4.2.პროგრამაზე რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები,დაშვების წინაპირობაა საბაზო ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ფლობა.

4.3.კოლეჯში ჩარსარიცხმა აპლიკანტამა,რომელსაც განათლება მიღებული აქვს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ან საქართველოს ფარგლებს გარეთ კოლეჯს უნდა წარუდგინოს დადგენილი კანონმდებლობის შესაბამისად განათლების აღიარების დოკუმენტი

მუხლი 5.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება და აღდგენა.

5.1.სტუდენტის სტატისის შეჩერების საფუძვლები;

ა)პირადი კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის განცხადება მიზეზის მითითებით. (მიზეზის შინაარსი არ შეიძლება გახდეს პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებაზე უარის თქმის საფუძველი;)

ბ)ავადმყოფობა, რომელიც შეუთავსებელია პროფესიული სტუდენტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროცესში მონაწილეობასთან;

გ) დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება.**(შესულია ცვლილება 2025წლის დირექტორის ბრძანებით)**

დ)სამხედრო სავალდებულო და სარეზერვო სამსახურში ჩარიცხვა,რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;

ე) **(ამოღებულია-დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

ვ)სხვა საპატიო მიზეზები მისგან დამოუკიდებლად.

ზ)(ამოღებულია დირექტორი 2025წლის ბრძანებით)

5.2.ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას პროფესიული სტუდენტი/კანონიერი წარმომადგენელი) (არასრულწლოვნის ან ქმედუუნარო/შეზღუდული ქმედუნარიანობის შემთხვევაში) განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს და ითხოვს სტუდენტის სტატუსის შეჩერებას

5.3.სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტი (არასრულწლოვანის/ქმედუუნარო/სსსმ პირის შემთხვევაში მისი წარმომადგენელი) ვალდებულია სტატუსის აღდგენის თხოვნით წერილობითი განცხადებით მიმართოს კოლეჯს პროგრამის შესაბამისი ეტაპის დადგომამდე, გონივრულ ვადაში.

5.4.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში,პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე,იმ მონაკვეთიდან როდესაც მას შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

5.5.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები;

5.6.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/აღდგენა ხდება დირექტორის ბრძანების გამოცემის საფუძველზე;

5.7.დაუშვებელია გაცვლითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საქართველოდან წასული პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება

5.8.დუალური პროგრამის შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შესაბამის პერიოდში სტატუსის აღდგენის შესაძლებლობა შეთანხმებული უნდა იყოს იმ პარტნიორ საწარმოსთან, რომელთანაც პროფესიულ სტუდენტს ან/და კანონიერ წარმომადგენელს(ასეთის არსებობის შემთხვევაში) გაფორმებული აქვს ხელშეკრულება.

5.9.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს,კოლეჯის დირექტორი,რომელიც აღნიშნულის შესახებ გამოსცემს ბრძანებას და მონაცემები აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

5.10.პროფესიულ სტუდენტს სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი.ვადის გასვლის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად უწყდება სტატუსი, რაც აისახება პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

5.11.კოლეჯის ლიკვიდაციის შემთხვევაში, როდესაც არ არის განსაზღვრული მისი უფლებამონაცვლე ან დაწესებულებამ დაკარგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლება ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი ან გაუვიდა ავტორიზაციის ვადა, პროფესიული სტუდენტი მიიჩნევა პროფესიული სტუდენტის სტატუს შეჩერებულ პირად.**(შესულია ცვლილება 2025წლის დირექტორის ბრძანებით)**

5.12. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისათვის იმავე კოლეჯში, რომელშიც პირს შეუჩერდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი, კოლეჯი აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში

მუხლი 6. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.

6.1.სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებისათვის დადგენილი ვადის გასვლა;

გ)პირადი/მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის/ მხარდამჭერის განცხადება;

დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გათვალისწინებული სწავლის შედეგების ვერ/არ დადასტურება,მიღწევის შეუძლებლობას

ე) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საკონტაქტო საათების 30%-ის მეტის გაცდენა.

ვ)დისციპლინური გადაცდომა, რომლის შედეგადაც სტუდენტის მიმართ გამოყენებული იქნება დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა- სტატუსის შეწყვეტა;

ზ)დუალური პროგრამის შემთხვევაში საწარმოს მიერ პროფესიულ სტუდენტთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების შეწყვეტა პროფესიული სტუდენტის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევისა ან/და კოლეჯში/საწარმოში განსახორციელებელი სწავლის შედეგ(ებ)ის/ კრიტერიუმ(ებ)ის შესაბამის პერიოდში მიუღწევლობის გამო.

თ)დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელებას.

ი)პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებიდან5 წლიანი ვადის გასვლა, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

კ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ლ)პროფესიული სტუდენტის გარდაცვალება

6.2. ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კოლეჯი ახდენს პროფესიული სტუდენტის ინფორმირებას (წერილობითი ფორმით ან/და კომუნიკაციის სხვა საშუალებით),მის მიერ დაგროვილი გაცდენილი საათების/დღეების გამო მოსალოდნელ შედეგების შესახებ. გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემით. უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ მომზადებული სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით;

6.3.პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში მისი ხელახალი მოპოვება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7.პროფესიულ სტუდენტთა მობილობის წესი.

7.1. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს პროფესიული სტუდენტის მობილობის უფლებით.
7.2. გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს მიმღებ დაწესებულებას, ხოლო შიდა მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს იმავე დაწესებულებას. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ
პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა.
7.3. მიმღები დაწესებულება უფლებამოსილია სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
7.4.დაწესებულება უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
ა) კოლეჯს არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში;
ბ) კოლეჯი ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმღები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით.
გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს კოლეჯის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
7.5. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში.
7.6.დაწესებულება ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობით და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესის შესაბამისად.
7.7. აღიარება ფორმდება კოლეჯის გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
7.8. კოლეჯი, ამ წესით გათვალისწინებული პირობებისა და მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს მართვის საინფორმაციო სისტემაში. სისტემის მონაცემების საფუძველზე ის დაწესებულება, საიდანაც გადადის პროფესიული სტუდენტი, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში კოლეჯი, რომლის ერთი პროგრამიდან სხვა პროგრამაზეც გადადის პროფესიული სტუდენტი, გამოსცემს სამართლებრივ აქტს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს მართვის საინფორმაციო სისტემაში.
7.9. ამოღებულია-(2025წლის თებერვლის ბრძანებით)
7.10. ამოღებულია-)2025წლის თებერვლის ბრძანებით)
7.11. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
7.12. გარე და შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ

ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ იმავე ან ქვედა დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 8. მიღებული (ფორმალური) განათლების აღიარება

(შესულია ცვლილება- დირექტორის 12.03. 2021წ . N15 -ბრძანებით.)

8.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების მიზანი 8.1.1.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების (შემდგომში – ფორმალური განათლების აღიარება) მიზანია მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა, რაც გამოიხატება სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატით, უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით – დიპლომით ან ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტით დადასტურებული სწავლის შედეგების აღიარებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის.

8.1.2. ფორმალური განათლების აღიარების საფუძველი

8.1.2.1.ფორმალური განათლების აღიარებას ახდენს საგანმანათლებლო დაწესებულება (შემდგომში - დაწესებულება) ამ წესით დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე დაწესებულების მიერ შემუშავებული ფორმალური განათლების აღიარების წესის შესაბამისად.

8.1.2.2. ფორმალური განათლების აღიარება დასაშვებია, თუ:

ა) საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული და მიღწეული სწავლის შედეგები ერთნაირადაა ფორმულირებული ან ფორმულირებაში არსებობს მცირედი განსხვავება, რომელიც გამოწვეულია ენობრივი თავისებურებით ან/და სწავლის შედეგების განსხვავებული სტრუქტურირებით და ხელს არ უშლის მათ იდენტურად მიჩნევას. ამასთან, სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით ერთმანეთთან თავსებადია;

ბ) მიღწეული სწავლის შედეგები ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისი დონის აღმწერის გათვალისწინებით აღემატება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

8.1.2.3. ფორმალური განათლების აღიარების მსურველი (შემდგომში – განმცხადებელი) უფლებამოსილია, მოითხოვოს ფორმალური განათლების აღიარება, მხოლოდ მის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ.

8.1.3. ფორმალური განათლების აღიარების ეტაპები და ვადა

8.1.3.1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ვადა შეადგენს განცხადების წარმოებაში მიღებიდან 1 თვეს.

8.1.3.2.ფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) დაწესებულებისთვის განცხადების წარდგენა;

ბ) კომისიის მიერ განცხადებისა და თანდართული დოკუმენტაციის განხილვა/ შეფასება;

გ) კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღება;

დ) დაწესებულების მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

8.1.3.3.დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ფორმალური განათლების აღიარების პროცესთან დაკავშირებული ინფორმაციის დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობა.

8.1.4. განცხადების წარდგენა

8.1.4.1.განმცხადებლის მიერ დაწესებულებისათვის წერილობითი ფორმით წარდგენილი განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) დაწესებულების დასახელებას;

ბ) განმცხადებლის სახელსა და გვარს, ფაქტობრივ და იურიდიულ მისამართს;

გ) განმცხადებლის ელექტრონული ფოსტის მისამართს;

დ) განმცხადებლის ტელეფონის ნომერს;

ე) განცხადების შევსების ადგილსა და თარიღს;

ვ) მოთხოვნას, კერძოდ, მითითებას იმ სწავლის შედეგზე/შედეგებზე, რომლის აღიარებასაც ითხოვს განმცხადებელი;

ზ) განმცხადებლის ხელმოწერას;

თ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას.

8.1.4.2.განცხადებას უნდა ერთოდეს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) თუ აღიარების მსურველი წარმოდგენილია წარმომადგენლით, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) ფორმალური განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი და მისი დანართი (ასეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში)/უმაღლესი ან პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი – დიპლომი და მისი დანართი/ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი) ან მისი ნოტარიულად დამოწმებული ასლი, ან ცნობა, რომელიც ადასტურებს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, გარდა ამ მუხლის 8.1.4.4. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.1.4.3.განცხადებას შესაძლებელია ერთოდეს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობის დასადგენად დაწესებულების/პროფესიული მომზადების ან/და პროფესიული გადამზადების პროგრამის განმახორციელებელი იურიდიული პირის მიერ გაცემული ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ასაღიარებელი სწავლის შედეგის მიღწევის თაობაზე, გარდა ამ მუხლი-1.4.4პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

8.1.4.4. დაწესებულება არ არის უფლებამოსილი განმცხადებელს მოსთხოვოს ამ მუხლის 8.1.4.2.პუნქტის „გ" ქვეპუნქტითა და 8. 1.4.4.პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია იმ სწავლის შედეგების აღიარების ნაწილში, რომელიც მიღწეულ იქნა ამავე დაწესებულების მიერ განხორციელებული ფორმალური განათლების ფარგლებში.

8.1.4.5. დაწესებულება 3 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებს განცხადების შესაბამისობას ამ მუხლის მოთხოვნებთან. თუ განმცხადებელი დაწესებულებას არ წარუდგენს საქმის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე რომელიმე დოკუმენტს, დაწესებულება განმცხადებელს განუსაზღვრავს არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 სამუშაო დღის ვადას, რომლის განმავლობაშიც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია.

8.1.4.6. დაწესებულების მიერ ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება.

8.1.4.7. თუ დაწესებულების მიერ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის დოკუმენტს,დაწესებულება უფლებამოსილია გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

8.1.5.კომისიის მიერ განცხადებისა და დოკუმენტაციის განხილვა/შეფასება

8.1.5.1.განცხადების წარმოებაში მიღების შემდეგ დაწესებულების ხელმძღვანელის ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით იქმნება კომისია, რომელიც უზრუნველყოფს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებას.
8.1.5.2. კომისია უნდა შედგეს არანაკლებ 3 წევრისგან. დაწესებულება ვალდებულია კომისიის შემადგენლობაში უზრუნველყოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელი პირის მონაწილეობა. დაწესებულებას უფლება აქვს განმცხადებელი მოიწვიოს კომისიის განხილვაზე, თუ მისი მონაწილეობა აუცილებელია წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.
8.1.5.3. კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს თავისი შემადგენლობიდან ირჩევენ კომისიის წევრები. კომისია უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.
8.1.5.4. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
8.1.5.5. კომისიის გადაწყვეტილება აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
8.1.5.6. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს განმცხადებელთან არსებული ინტერესთა კონფლიქტისა და თვითაცილების შესახებ, შესაბამისი საფუძვლის მითითებით. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით დადგენილი გარემოების არსებობა.
8.1.5.7. კომისია კენჭს უყრის თვითაცილების/აცილების შესახებ საკითხს. გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობას არ იღებს კომისიის ის წევრი, რომელმაც დააყენა თვითაცილება/რომლის მიმართაც დაყენებულია აცილება. კომისიის წევრი თვითაცილებულად/აცილებულად ითვლება კომისიის მიერ შესაბამისის გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.
8.1.5.8. კომისია უზრუნველყოფს წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შესწავლას იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ამ წესით გათვალისწინებული აღიარების საფუძვლები. იგი არ არის უფლებამოსილი განმცხადებლის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით განახორციელოს მისი შეფასება.

8.1.6. გადაწყვეტილების მიღება

8.1.6.1. კომისია წარმოდგენილი განცხადებისა და დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
ა) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარების შესახებ;
ბ) ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის/შედეგების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ.
8.1.6.2. განმცხადებელს აღიარების გზით კრედიტი ენიჭება მოდულით/სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგის აღიარების შემთხვევაში. სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში პირს ენიჭება იმ პროგრამით განსაზღვრული კრედიტების რაოდენობა, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
8.1.6.3. კომისიის გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული. მასში მითითებული უნდა იყოს ის სწავლის შედეგი/შედეგები, რომელთა აღიარებაც განხორციელდა ან რომელთა აღიარებაზეც განმცხადებელს ეთქვა უარი შესაბამისი დასაბუთებით.
8.1.6.4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) დაწესებულების დასახელება;
ბ) განმცხადებლის ვინაობა;

გ) იმ საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის/სასწავლო კურსის სახელწოდება, რომლის სწავლის შედეგები უღიარდა/სწავლის შედეგები არ უღიარდა პროფესიულ სტუდენტს;
დ) აღიარებული კრედიტების რაოდენობა;
ე) გადაწყვეტილების მიღების თარიღი და ადგილი;
ვ) გადაწყვეტილების გასაჩივრების წესი და ვადა.
8.1.6.5.დაწესებულება ვალდებულია, გადაწყვეტილება განმცხადებელს აცნობოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციული აქტის გამოცემიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

8.1.7. ფორმალური განათლების აღიარების შედეგების განთავსება მართვის საინფორმაციო სისტემაში

8.1.7.1.ფორმალური განათლების აღიარების შედეგები და წარმოებასთან დაკავშირებული დოკუმენტები აისახება სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ წარმოებულ შესაბამის განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

8. 1. 8. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მექანიზმი

8.1.8.1კოლეჯი ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს კოლეჯში განთავსებულ საინფორმაციო დაფებს/კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდს/ სოციალურ ქსელს/პირისპირ შეხვედრებს.
8.1.2. დაინტერესებულ პირ(ებ)ს დაწვრილებით ინფრომაციას აწვდის შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირ(ებ)ი.

8.1.9.**კრედიტების მინიჭების ზოგადი წესი**

8.1.9.1.კრედიტების მინიჭება ხორციელდება სამ ეტაპად:
ა) კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტების მინიმალური მოცულობის განსაზღვრა;
ბ) სწავლის შედეგების მოცულობის განსაზღვრა კრედიტებში;
გ) მოდულისთვის კრედიტების ჯამური მოცულობის განსაზღვრა.
8.1.9.2.კვალიფიკაციის მისანიჭებლად საჭირო კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრული კვალიფიკაციის დონისა და პროგრამის ხანგრძლივობის მიხედვით.
8.1.9.3.ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ფორმალური განათლების ფარგლებში სრული სასწავლო დატვირთვის პირობებში მიღწევადი სწავლის შედეგების ერთობლიობა შეადგენს 60 კრედიტს. სრული სასწავლო დატვირთვა გულისხმობს პირის მიერ ერთი კალენდარული წლის მანძილზე 1500 – 1800 (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) საათიან დატვირთვას.
8.1.9.4.სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში არის რიცხვითი გამოსახულება, რომელიც სწავლის შედეგს ენიჭება კონკრეტული კვალიფიკაციის მიზნებიდან გამომდინარე მისი მნიშვნელოვნების გათვალისწინებით.
8.1.9.5.სწავლის შედეგის მოცულობა კრედიტებში განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:
ა) სწავლის შედეგის მნიშვნელოვნება პირისთვის შრომის ბაზარზე გასვლის ან სოციალური ინტეგრაციისთვის;
ბ) სწავლის შედეგის სირთულე, მასშტაბურობა და კომპლექსურობა;
გ) პირის მიერ სწავლის შედეგის მისაღწევად გასაწევი ძალისხმევა.
8.1.9.6.მოდულის კრედიტი წარმოადგენს მასში შემავალი სწავლის შედეგების კრედიტების ჯამს.
8.1.9.7.დასაშვებია სხვადასხვა კვალიფიკაციის ფარგლებში ერთიდაიმავე სწავლის შედეგისათვის კრედიტების განსხვავებული მოცულობის მინიჭება.
8.1,9.8.კრედიტების მინიჭების მეთოდოლოგია განისაზღვრება სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით.

8.1.9.9.**პირისთვის კრედიტის მინიჭების წესი.**

8.1.9.10.პირს კრედიტი ენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე.
8.1.9.11. სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია როგორც ფორმალური განათლების, ისე არაფორმალური განათლების მიღების გზით.
8.1.9.12.სწავლის შედეგის დადასტურება ხორციელდება:
ა) სწავლის შედეგის შეფასებით;
ბ) სწავლის შედეგის აღიარებით.
8.1.9.13.ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგის მიღწევის შეფასება ხორციელდება შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული წესით.
8.1.9.14.არაფორმალური განათლებისა და ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.1.9.15.**კრედიტების გადატანა (ტრანსფერი)**
8.1.9.16.კრედიტების გადატანის (ტრანსფერის) მიზანია მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობა, რაც უზრუნველყოფს პირისთვის სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების შესაძლებლობას.
8.1.9.17. კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება პირის მიერ ფორმალური განათლებისა ან/და
არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების გზით.
8.1.9.18.სწავლის შედეგების აღიარების შემთხვევაში კრედიტების გადატანა (ტრანსფერი) ხორციელდება იმ პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების რაოდენობის შესაბამისად, რომლის მიზნებისთვისაც მოხდა სწავლის შედეგების აღიარება.
8.1.9.19. კრედიტების გადატანას (ტრანსფერს) ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებაზე
უფლებამოსილი დაწესებულება.

მუხლი 9.არაფორმალური განათლების აღიარება

9.1. არაფორმალური განათლება - მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას;
9.2. არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული განათლების ფარგლებში აღიარების წესს და პროცედურას არეგულირებს ,,არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი“

მუხლი10.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა და გაუქმება.

10.1.ამოღბულია (დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)
10.2.ამოღებულია (დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)
10.3. ამოღებულია (დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)
10.4. ამოღებულია (დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)
10.5.ამოღებულია (დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)
10.6. ამოღებულია (დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)
10.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.**(შესულია ცვლილება დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)**
10.8.პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/ გაუქმების შემთხვევაში გადავიდეს იმავე ან მსგავსი მიმართულების სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლა განაგრძოს შეცვლილი პროგრამით ან მოახდინოს

მისთვის სასურველი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში.**(შესულია ცვლილება დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)**

10.9.პროფესიულ სტუდენსტს უფლებს აქვს,პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გაუქმების ან პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან ერთ-ერთი კვალიფიკაციის ამოღების შემთხვევაში,დაასრულოს სწავლა იმ პროფესიულ საგანმანათლებო პროგრამაზე, რომელზედაც სწავლობს, ან კოლეჯი პროფესიულ სტუდენტს შესთავაზებს გარე მობილობას და თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყოფს მის გადაყვანას იმ ალტერნატიულ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელთანაც გაფორმებული აქვს მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.**(შესულია ცვლილება დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)**

10.10.ამოღებულია (დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)

მუხლი 11. საგანმანათლებლო პროგრამები,სასწავლო პროცესის ორგანიზება

11.1.კოლეჯში სწავლა მიმდინარეობს დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების პროგრამების/პროფესიული გადამზადების პროგრამების/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის/ სასწავლო ტრენინგ - კურსებით

11.2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიულიმომზადების პროგრამების/პროფესიული გადამზადების პროგრამების/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის/ სასწავლო ტრენინგ -კურსების /დაწყება/დამთავრება,მეცადინეობის(ლექციების)დაწყების დრო,შესვენების ხანგრძლივობა რეგულირდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

11.3.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში,კრედიტების განაწილების,პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის(დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტით ან/და მოდულით.

11.4.**სწავლის ხანგრძლივობა**

11.4.1.პროფესიულ სტუდენტთა სწავლის ხანგრძლივობა განისაზღვრება შესაბამისი საგანამათლებლო პროგრამის ხანგრძლივობით.

11.4.2.პროგრამის ხარნრძლივობა,რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები შეადგენს არანაკლებ 3 წელს.

11.4.3.კოლეჯში პროგრამის განხორციელების ვადა შესაძლებელია შეიცვალოს, თუ ადგილი აქვს რაიმე გაუთვალისწინებელ გარემოებას.

11.5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების/ სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის/სასწავლო ტრენინგ-კურსების შედგება თეორიული მეცადინეობების/სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის და შეფასების/საგამოცდო პერიოდით.

11.6.სასწავლო კვირაში სწავლა მიმდინარეობს სასწავლო მეცადინეობების(ლექციების)განრიგის მიხედვით,რომელსაც ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი.

11.7.სასწავლო მეცადინეობები მოიცავს:

ა)მოდულის დასახელება;

ბ)მასწავლებლის სახელი გვარი;

გ)მეცადინეობის დაწყებისა და დამთავრების დრი;

ე)მეცადინეობის განხორციელების ადგილი.

11.8.კოლეჯში დაწესებული ხუთ დღიანი სასწავლო კვირა,საჭიროების შემთხვევაში კოლეჯის დირექტორის გადაწყვეტილებით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების მიზნებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე, შაბათი როგორც სასწავლო დღე.

11.9.მეცადინეობის საათები შეადგენს ერთ ასტრონომიურ საათს(აკადემიური საათი-50წთ.),რომელთა შორის შესვენება 10 წთ.; ხოლო დიდი შესვენება 20წთ.

მუხლი12. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი;

12.1.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე კრედიტების მინიჭება ხდება სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების საფუძველზე**(შესულია ცვლილება დირექტორი 2025 წლის ბრძანებით).**

12.2.სწავლის შედეგის შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

ა)განმავითარებელი - შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულებით,ასევე ჩათლის პრინციპის გამოყენებიათ.

ბ.)განმსაზღვრელი - შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებულ (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდგომი ორი ტიპის შეფასებას:

ბ.ა. სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ.ბ. სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა;

12.3.პროფესიულ სტუდენტს განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში უფლება აქვს ერთხელ პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგის მიღწევის დამატებითი შეფასება.თუ ეს მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას.

12.4.პროფესიულ სტუდენტს, სწავლის რომელიმე შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში,(რომელსაც აქვს შესაბამისი წინაპირობა) შესაძლებლობა აქვს გავიდეს განმეორებით შეფასებაზე და დაადასტუროს შესაბამისი მოდული/სწავლის შედეგი ერთი კვირის განმავლობაში.

12.5.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში შეფასების მიმართულება და შეფასების ინსტრუმენტის ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

12.6. **შეფასების უწყისი (შესულია ცვლილება დირექტორის 2025წ ბრძანებით)**
12.6.1.შეფასების უწყისის ფორმა დამტკიცებულია დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით,ბრძანებით.

12.6.1.1.პროფესიულ სტუდენტის სწავლის შედეგების დადასტურების უწყისებს,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ჯგუფისათვის აწარმოებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, უწყისები ინახება საქაღალდეში და მოდულის/მოდულების დასრულების შემდეგომ 7 კალენდარული დღის ვადაში შემფასებელს ეკისრება ვადებულება მოდულის/მოდულების დასრულება ხელმოწერით დაადატუროს უწყისებზე.

12.6.2.პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასების უწყისები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული ჯგუფისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან, შესაბამის საქაღალდეში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა საქმისმწარმოებელს და ინახება უვადოდ.

12.6.3.მოდულის მიმდინარეობის განმავლობაში პროფესიული სტუდენტის დადასტურებული სწავლის შედეგების მტკიცებულებები ინახება განმახორციელებელ პირთან.

12.6.4.მოდულის დასრულების შემდეგ აღნიშნული მტკიცებულებები გადაეცემა სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერს და შეინახება უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით. **(შესულია ცვლილება დირექტორი 2025 წლის ბრძანებით)**

6.5.საბოლოო შეფასების უწყისები ივსება სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის მიერ, პროგრამის დასრულების შემდეგ უწყისები 10 სამუშაო დღის ვადაში გადაეცემა საქმისმწარმოებელს დაარქივების მიზნით;

12.7.აუცილებელი არა ყველა სწავლის შედეგი ცალ-ცალკე შეფასდეს შესაძლებელია შეფასდეს რამდენიმე სწავლის შედეგი ერთდროულად ან ყველა ერთად მოდულის ბოლოს.

12.8.მოდულურ პროგრამებზე, შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის კალენდარული გეგმისა და მოდულით გათვალისწინებული,მოდიფიცირებული სასწავლო მასალას და ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან,სასწავლო პროცესის და სასწავლო/საწარმო პრაქტიკის მენეჯერთან და შესათანხმებლად წარედგინება ხასიხსის მართვის მენეჯერს. შშმ და სსსმ პირები მოდულებზე დაიშვებიან წინაპირობის დაძლევის გარეშე.

12.9.სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების შემთხვევაში, ანუ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური პროგრამა) საწარმოში მისაღწევი სწავლის შედეგების შეფასებას ახორციელებს პარტნიორი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ინსტრუქტორი;

12.10.კოლეჯსა და საწარმოს შორის დადებული ხელშეკრულების ფარგლებში, პროფესიული სტუდენტი მუშაობს კომპანიაში/საწარმოში ინსტრუქტორის ზედამხედველობის ქვეშ, აწარმოებს სტუდენტის ჩანაწერების ჟურნალს, რომელსაც ამოწმებს ინსტრუქტორი და უდასტურებს სწავლის შედეგების მიღწევის შემთხვევაში.

12.11.მოდულის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებელი/ინსტრუქტორი პროფესიულ სტუდენტს აწვდის ინფორმაციას შედეგის დადასტურების/დაუდასტურებლობის შესახებ შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 დღისა;

12.12.პროფესიული სტუდენტის შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურა

ა)მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების არასამართლიანად მიჩნევის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მიღებული შეფასების/შედეგის დადასტურების გასაჩივრების უფლებით;

ბ)სტუდენტი, შეფასების შედეგების გასაჩივრების მიზნით, განცხადებით მიმართავს დირექტორს, შეფასების შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა;

გ) დირექტორი ქმნის სპეციალურ (სააპელაცო) კომისიას, სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 წევრით.
დ) კომისია იღებს გადაწყვეტილებას უფლებამოსილების წარმოშობიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღეში, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

- ✓ პროფესიული სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე;
- ✓ მიღებული შეფასების ძალაში დატოვების თაობაზე.

ე) გასაჩივრების შემთხვევაში, განცხადების წარმოებაში მიღებიდან კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე პერიოდში, სტუდენტს უფლება აქვს დაესწროს სალექციო განრიგით გათვალისწინებულ ლექციებს.
ვ) დაწესებულება არ არის უფლებამოსილი არსებული შეფასების საფუძველზე შეუწყვიტოს პროფესიულ სტუდენტს სტატუსი სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილებამდე.
ზ)პროფესიულ სტუდენტს/კანონიერ წარმომადგენელს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება ზეპირსიტყვიერად ან/და წერილობით/მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით, გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

თ) განცხადების განხილვის შედეგად, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, მიღებული შედეგი აისახება შესაბამის შეფასების დამატებით უწყისში.

12.13. **განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი**

12.13.1.სტუდენტის ინფორმირება სწავლის შედეგების დადასტურებასთან დაკავშირებით ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, არაუგვიანეს 2 დღის ვადაში.

12.13.2.პროფესიულ სტუდენტს შეუძლია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის/მოდულების (თუ მოდული/მოდულები არ წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის რომელიმე მოდულზე დაშვების წინაპირობას) სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში ისარგებლოს განმეორებითი შეფასების უფლებით პროგრამის დასრულებამდე.

12.13.3.პროფესიულ სტუდენტს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მოდულის/მოდულების (თუ მოდული/მოდულები წარმოადგენს აღნიშნული პროგრამის რომელიმე მოდულზე დაშვების წინაპირობას) სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს ამ მოდულის/მოდულების განხორციელების დასრულებიდან არაუმეტეს ერთ კვირაში განმეორებით დაადასტუროს შესაბამისი სწავლის შედეგი/შედეგები. აღნიშნულ ვადაში პროფესიული სტუდენტის მიერ მოდულის/მოდულების სწავლის შედეგის/შედეგების დაუდასტურებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უწყდება სტატუსი, თუ ადგილი არა აქვს რაიმე საპატიო გარემოებას (მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა) რომელიც დასტურდება რაიმე სახის მტკიცებულებით.

მუხლი 13. სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნა, სწავლებისა და მხარდაჭერის ღონისძიებები

13.1.კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის(შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას.

13.2.**კოლეჯში ჩარიცხული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებებია:**

ა) ინკლუზიური განათლების სპეციალისტის არსებობა(ასეთის საჭიროების შემთხვევაში)

ბ)ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციისთვის სხვადასხვა სახის ღონისძიებებში მონაწილეობა.(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

გ) კოლეჯის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა;
დ) საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესში ინდივიდუალური მხარდაჭერა;
ე) საჭიროების შემთხვევაში ადმინისტრაციული მხარდაჭერა;
ვ) სხვა ღონისძიება, საჭიროების მიხედვით;
13.3.კოლეჯს ჰყავს ჟესტური ენის თარჯიმანი,საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოს დამხმარე ინდივიდუალური ასისტენტის და სხვა სპეციალისტების მოწვევას;
13.4. შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილად ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინდივიდუალური კონსულტაციების/ინკლუზიური განათლების სპეციალისტის,/ ადმინისტრაციის და საჭიროების შემთხვევაში სხვა პირთა მეშვეობით. **(შესულია ცვლილება დირექტორის 2025 წლის ბრძანებით)**

13.5.შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ)სტუდენტებისთვის კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლებლის ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

13.6,ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო,სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის(საჭიროების შემთხვევაში)ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად.

მუხლი 14 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება

14.1.პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის ან პროფესიულ პროგრამაზე მობილობით ჩარიცხული ან/და სხვა ობიექტორი გარემოებების გათვალისწინებით, პროფესიული სტუდენტისთვის საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას(პროექტს) შეიმუშავებს სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან, პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად, და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობით და მათი ინტერესების გათვალისწინებით **(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

14.2.სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის,მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, (საჭიროების შემთხვევაში,)რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას(მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

14.3.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი გაცნობილი უნდა იქნას პროფესიულ სტუდენტთან რომლისთვისაც დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;

14.4.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი, პროფესიულ სტუდენტთან გაცნობის შემდეგ, დასამტკიცებლად წარედგინება კოლეჯის დირექტორს;

14.5.1.ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საფეხურები:

ა)პროფესიულ პროგრამაზე ჩარიცხული სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტისათვის შეიქმნება მულტიდისციპლინური გუნდი, რომელშიც იქნებიან კონკრეტულ მოდულური პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, სასწავლო პროცესის და სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი და ინკლუზიური განათლების სპეციალისტი. ისინი გაეცნობიან საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნას და მასში მოცემულ სწავლის პროცესში გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს.

ბ)პროფესიული განათლების მასწავლებელი ავსებს სტუდენტის აკადემიური და ფუნქციური უნარების შეფასების ანკეტას, რის დახმარებითაც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად დადგენს პროფესიული სტუდენტის საჭიროებას.**(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

გ) ინკლუზიური განათლების სპეციალისტი დააკვირდება სსსმ ან შშმ პროფესიულ სტუდენტს, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებზე, მისი ძლიერი მხარეებისა და სწავლაში არსებული სირთულეების შეფასების მიზნით.

დ)პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლაში არსებული სირთულეების აღმოჩენისთანავე ატყობინებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტს შემდგომი რეაგირების მიზნით.**(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით).**

ე)კოლეჯის მულტიდისციპლინური გუნდი, აჯამებს და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების ფორმის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროების შესახებ. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება მოდულის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში(თუკი მოდულის სპეციფიკა იძლევა ამის შესაძლებლობას ან არ არსებობს სხვა ობიექტური გარემოება).

ვ)სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების შემთხვევაში, საჭიროებიდან გამომდინარე მოდულური პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებელი ინკლუზიური განათლების სპეციალისტთან და სასწავლო პროცესის და სასწავლო /საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და შესათანხმებლად წარედგინება ხასიხსის მართვის მენეჯერს.

ზ)ინკლუზიური განათლების სპეციალისტი მუდმივად თანამშრომლობს და ახდენს პროფესიული განათლების მასწავლებლების და არასრულწლოვანი სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მშობლის ან მეურვის კონსულტირებას.**(შესულია ცვლილება დირექტორის 2025 წლის ბრძანებით)**

თ)მულტიდისციპლინური გუნდის შეხვედრები ფორმდება ოქმის სახით.

ი) სსსმ ან შშმ პროფესიული სტუდენტისთვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არ მტკიცდება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში ჩასატარებელი დამატებითი მეცადინეობების, რესურსის და სხვა საჭიროებების შესახებ ინფორმაციას დირექციას წერილობით აწვდის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი.

მუხლი 15. პროფესიული სტუდენტის კვალიფიკაცია.

15.1.პროფესიული სტუდენტს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ -სამართლებრივი აქტი გაიცემა დამადასტურებელი დიპლომი.

15.2.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე, პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს შესაბამისი პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები.(სავალდებულო/დარგობრივი,ზოგადი და არჩევითი მოდულები) და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

15.3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე,რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგის 50% მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში,პროფესიული კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიული საგანმანათლებო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები და ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა.

15.4. სსსმ/შშმ პირი, რომლის მიერ ვერ იქნება ათვისებული პროგრამით გათალისწინებული ყველა სასწავლო მოდულის სწავლის შედეგები ითვლება კურსდამთავრებულად და მასზე გაიცემა პროგრამის გავლის დამადასტურებელი ცნობა, მოთხოვნის შემთხვევაში დაძლეული სწავლის შედეგების მითითებით.

15.5.მოკლე ციკლის პროგრამების სრული კურსის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა მინიჭებული ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი;

15.6.სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამებისა და სასწავლო ტრენინგ-კურსების დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულზე გაიცემა სერტიფიკატი. **(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

15.7. (ამოღებულია დირექტორის 2025წლის ბრძანებით)

15.8. (ამოღებულია. დირექტორის 2025წლის ბრძანებით)

15.9.კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გაიცემა შესაბამის კურსდამთავრებულზე კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი(რომელსაც ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი,) დანართთან ერთად.

მუხლი 16 .პროფესიული სტუდენტის უფლება- მოვალეობების და კანონიერი

ინტერესების დაცვის მექანიზმები:

16.1.პროფესიული სტუდენტის უფლებაა მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება; საქართველოს კანონმდებლობით, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი წესით,ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

16.2.პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს.

16.3.**(ამოღებულია დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

16.4.პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერა ცნობის, სერტიფიკატის, დიპლომის გაცემა, შიდა თუ გარე მობილობის ხელშეწყობა, ფორმალური განათლების აღიარება და სხვა., გონივრულ ვადაში ხორციელდება და მაქსიმალური ვადა არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს.

16.5.პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს:

ა)მიიღოს ხარისხიანი პროფესიული განათლება;

ბ)დაცული იყოს არასათანადო მოპყრობის,უყურადღებობისა და შეურაცხყოფისაგან;

გ) გამოთქვას საკუთარი აზრი და მოითხოვოს მისი პატივისცემა;

დ) გამოთქვას პროტესტი და წერილობით გაასაჩივროს კოლეჯის დირექტორთან დასაქმებულის ან/და პროფესიული სტუდენტის არამართლზომიერება;

ე)კოლეჯის არამართლზომიერება გაასაჩივროს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენი წესით;

ვ)ისარგებლოს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;

ზ)ისარგებლოს ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით;

16.6.პროფესიული სტუდენტი ვალდებულია:

ა)არ დააგვიანოს და არ გააცდინოს სასწავლო პროცესი,ასევე არ დატოვოს აუდიტორია მეცადინეობის მიმდინარეობის დროს;

ბ)დაემორჩილოს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით დადგენილ მოთხოვნებს და კოლეჯში დასაქმებული უფლებამოსილი პირის შესაბამის მითითებებს;

გ)გაუფრთხილდეს კოლეჯის ქონებას;

დ) პატივი სცეს პროფესიული სტუდენტების და კოლეჯის თანაშრომლების ღირსებას,არ დაუშვას მათზე რაიმე ფორმით ზეწოლა ან მათ მიმართ შეურაცხმყოფელი საქციელი;

16.7. პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯისათვის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზიანის გამო, ზიანის ოდენობის შესაბამისი მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიულ სტუდენტს(არასრულწლოვანების შემთხვევაში -მის კანონიე წარმომადგენელს);

16.8.პროფესიულ სტუდენტს ეკრძალება:

ა)ალკოჰოლური სასმელების,თამბაქოს და საქართველოს კანონმდებლობით აკრძალული ნივთების კოლეჯის ტერიტორიაზე შეტანა და გამოყენება;

ბ)ალკოჰოლური ან/და სხვა სახის თრობისას სასწავლებლის ტერიტორიაზე გამოცხადება და გადაადგილება;

გ)კოლეჯის ინფორმაციულ სივრცეში ყველა ტიპის კომპიუტერული თამაშები,არასანქცირებული ჩართვების განხორციელება,კოლეჯის ადმინისტრაციასთან შეთანხმების გარეშე პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია,ლექციების მიმდინარეობისას მობილური საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენება.

6.პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის და კოლეჯის შიდა სხვა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნათა დარღვევა განიხილება დისციპლინურ გადაცდომად და კოლეჯი უფლებამოსილია სტუდენტის მიმართ გამოიყენება დისციპლინური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემდეგი ფორმა:

ა)შენიშვნა

ბ) არასრულწლოვან პროფესიული სტუდენტისათვის მშობელთან დაკავშირება და მასთან გასაუბრება;

გ)პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

დ)პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოება დისციპლინური გადაცდომის თანაზომიერი უნდა იყოს.

მუხლი 17.პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირების სისტემა

17.1.პროფესიული სტუდენტი სასწავლო პროცესის და სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესიული განათლების მასწავლებლისგან იღებს სათანადო კონსულტაციას და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასამჯობესებლად.

17.2.მსგავს მხარდაჭერას პროფესიული სტუდენტი, განმავითარებელი შეფასებების ეტაპზე იღებს, პროფესიული განათლების მასწავლებლისგან.პროფესიული სტუდენტების ინდივიდუალური ინფორმირება ხორციელდება კონფიდენციალურობის დაცვით. **(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით).**

17.3.პროფესიული სტუდენტის მხრიდან წამოსული მომართვის შემთხვევაში/(ზეპირად ან/და წერილობით) გათვალისწინებულია დამატებითი კონსულტაციები, კონსულტაციების გრაფიკს და ფორმებს (ელექტრონული ფოსტა, დახურული ჯგუფები, ელ. პლატფორმა, სატელეფონო კონსულტაცია და სხვა)ადგენს სასწავლო პროცესის და სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებელთან და პროფესიულ სტუდენტთან შეთანხმებით.**(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

17.4.ამოღებული (დირექტორის 2025წლის ბრძანებით)

17.5.ამოღებულია.(დირექტორის 2025წლის ბრძანებით)

17.6.პროფესიული სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით კოლეჯი სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში ან/და ყველა ეტაპზე, ხდება შეხვედრები ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, რომლებიც აწვდიან

ინფორმაციას კოლეჯის სერვისებისა და ზოგადად, არსებული შესაძლებლობების, მათი ვალდებულებების, სასწავლო პროცესის თავისებურებების,შეფასების სისტემის,ქცევის და ეთიკის ნორმების, შინაგანაწესის უსაფრთხოების და სხვა წესების შესახებ;

17.7. სასწავლო წლის პირველ დღეს და უწყვეტად კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი აცნობს პროფესიულ სტუდენტებს კოლეჯის ვებ-გვერდსა და ფეისბუქ-გვერდს, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელები პროფესიულ სტუდენტებს აცნობს კოლეჯის და მოქმედ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

17.8.პროფესიული სტუდენტები, ეცნობიან ზოგადი უსაფრთხოების წესების შესახებ ინსტრუქტაჟს, შესაბამისი მოდულის განმახორციელებელი პირი მიერ, ხოლო შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი აცნობს კოლეჯში არსებულ შრომის უსაფრთხოების წესს და პერიოდულად უტარებს უსაფრთხოების ინსტრუქტაჟს. სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, პროფესიულ სტუდენტებს, უწევს კონსულტირებას სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში ან /და ყველა ეტაპზე, ასევე საწარმოო პრაქტიკაზე გასვლის წინ.

17.9.ამოღებულია (დირექტორის 2025წლის ბრძანებით)

17.10.პროფესიულ სტუდენტებთან ეფექტური თანამშრომლობისათვის კოლეჯი ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:.(**შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

ა)პროფესიული სტუდენტის პრობლემებსა და მომართვებზე ახდენს რეაგირებას, უკმაყოფილებას ეკიდება საქმიანად, აგვარებს პრობლემას და ახდენს შემდგომში მსგავსი შემთხვევის პრევენციასსდ.

ბ)საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებს უთმობს დამატებით დროს;

გ)პროფესიულ სტუდენტებთან ურთიერთობებისას იცავს ეთიკის ნორმებს;

დ)ამოღებულია (დირექტორის 2025წლის ბრძანებით)

17.11. კოლეჯის თანამშრომლები ზრუნავენ სტუდენტების საჭიროებების გაუმჯობესებაზე . **(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით)**

17.12. ამ მუხლის 17.10-ე პუნქტის „ა“ „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, კოლეჯის თანამშრომელები უწევენ მომსახურებას პროფესიულ სტუდენტს, მომსახურების დროს თუ გამოიკვეთა ახალი გარემოებები, ხარვეზები, თანამშრომელი ვალდებულია გაუზიაროს აღნიშნული უშუალოდ დირექტორს, გატარდბა შესაბამისი ზომები.**(შესულია ცვლილება დირექტორის 2025წლის ბრძანებით).**

17.13. პროფესიულ სტუდენტთა მომსახურებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს კოლეჯის სხვა სტრუქტურული ერთეულების ინფორმირებას და ჩართულობას.

მუხლი 18.პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები

18.1. ხარისხიანი განათლების მიწოდებაზე, კოლეჯი ზრუნავს სტუდენტურ ცხოვრებაზე და სწავლის პერიოდში სტუდენტებს სთავაზობს სხვადასხვა ტიპის პროექტებს, ინტელექტუალურ, გასართობ, სპორტულ და სხვა ღონისძიებებს. სტუდენტები მონაწილეობენ ასევე, სხვადასხვა გამოფენებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში,საექსკურსიო-შემეცნებით და საზოგადოებრივად

სასარგებლო სტუდენტური ინიციატივების განხორციელებაში და ასევე კოლეჯი უზრუნველყოფს მათ წახალისებას. სტუდენტური ცხოვრების გალამაზებაზე ზრუნავს კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი. ხოლო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერაზე -პასუხიმგებელია ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალსიტი.

18.2.განსახორციელებელი ღონისძიებები ანონსდება სოციალურ ქსელების მეშვეობით.

18.3.კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებს მატერიალურ-ტექნიკური სერვისებით:

- უსაფრთხო და დაცული საგანმანათლებლო სივრცე;
- შენობის ნორმალური ტემპერატურით უზრუნველყოფა სეზონების მიხედვით;
- ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფილი, მონიტორებით და სასწავლო გარემოს შესაბამისი აღჭურვილების მქონე აუდიტორიები;
- ბიბლიოთეკა, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ბეჭდური და ელექტრონული რესურსით, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებით;
- ადაპტირებული გარემო შშმ პირთათვის (პანდუსები, ადაპტირებული სველი წერტილები);
- პირველადი სამედიცინო მომსახურება;
- კოლეჯი დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით
- სველი წერტილები, წყლის უწყვეტი მიწოდებით;

18.4.კოლეჯი უზრუნველყოფს არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას

- ✓ საგანმანათლებლო აქტივობები;
- ✓ კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები;
- ✓ სპორტული ღონისძიებები;
- ✓ შემეცნებითი ღონისძიებები;
- ✓ საქველმოქმედო ღონისძიებები;
- ✓ ინოვაციური პროექტები და კონკურსები,

18.5.ამ ინიციატივების განხორციელებისათვის ინიციატორი სტუდენტი/სტუდენტური თვითთმმართველობა(ასეთის არსებობის შემთხვევაში) უფლება აქვთ, მიმართონ კოლეჯის დირექტორს განცხადებით ან/და ზეპირსიტყვიერად;

18.6.წარმოდგენილ ინიციატივაზე კოლეჯის დირექტორი იღებს გადაწყვეტილებას და აძლევს თანხმობას ან/და უარს აცხადებს თანხმობაზე .

18.7.წერილობითი განაცხადის შემთხვევაში განხილვის ვადა არ აღემატება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებს. კოლეჯი განახორციელებს წლიურად არანაკლებ 3 ინიციატივის მხარდაჭერას. დაკმაყოფილდება ის განაცხადი, რომელიც იქნება დასაბუთებული და მიზანშედეგობრივი.დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში ინიციატორს ეცნობება არგუმენტირებული უარი;

18.8.კოლეჯი სტუდენტთა პროფესიული და კარიერული მხარდაჭერა:

ა)კოლეჯი უზრუნველყოფს დასაქმების ფორუმებში სტუდენტების მონაწილეობას, კონკურსებში, აქტივობებში, სადაც მათ შეუძლიათ სხვადასხვა კომპანიების მხრიდან მიიღონ ინფორმაცია,გაიეცნონ სამსახურის შეთავაზებებს და უშუალოდ ესაუბრონ დამსაქმებლებს.

ბ)კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების დასაქმების ხელშეწყობას და მუდმივად აწვდის განახლებულ ინფორმაციას დასაქმების ბაზარზე არსებული მდგომარეობის, გამოცხადებული ვაკანსიების, დასაქმების ფორუმების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების შესახებ,რაც კიდევ უფრო ზრდის მათი კარიერული განვითარების შესაძლებლობებს.

გ)ამ მეთოდების და ფორმების ერთობლიობა საშუალებას აძლევს პროფესიულ სტუდენტებს

მიაღწიონ საუკეთესო შედეგებს და გაიუმჯობესონ როგორც პირადი, ისე პროფესიული განვითარება.

დ) კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტების მხარდაჭერას მანაწილეობა მიიღონ ინოვაციური პროექტებსა და კონკურსებში, რომელიც ავითარებს მათ უნარ-ჩვევებს და რაც ეხმარება მათ შემდგომი დასაქმების პერსპექტივაში.

ე)კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას დამსაქმებლებისთვის კურსდამთავრებული პროფესიული სტუდენტების შესახებ დასაქმების მიზნით;

18.9..პროფესიულ სტუდენტთა დახმარებაზე საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვასა და დამსაქმებლებთან ურთიერთობაში პასუხიმგებელი აპროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი.

18.10.კოლეჯი პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიულ სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ.

მუხლი19. სასწავლო/პრაქტიკის პროცესის მასალების/ნედლეულის შექმნილი პროდუქტის (მტკიცებულების)შენახვის და განკარგვის წესი და ნარჩენების უტილიზაციის წესი.

19.1.სასწავლო/პრაქტიკის პროცესში შექმნილი პროდუქტის (მტკიცებულების)შენახვის და განკარგვის წესი:

ა)სასწავლო/პრაქტიკის პროცესში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებას;

ბ)პროფესიული სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტი ისე უნდა იყოს შენახული რომ, იძლეოდეს სტუდენტის იდენტიფიცირებას;

გ)სასწავლო/პრაქტიკის პროცესში სტუდენტის მიერ შექმნილი პროდუქტის შენახვა ხდება კოლეჯში კანონმდებლობით დადგენილი წერის შესაბამისად,რის შემდეგაც ნაწილი ნადგურდება კანონით დადგენილი წესით,ხოლო ნაწილი ინახება კოლეჯის მიზნებისთვის.

19.2.სასწავლო/პრაქტიკის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაციის წესი:

19.2.1.სასწავლო/პრაქტიკის პროცესის ორგანიზების დროს წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესის დაცვით.

19.2.2.ნარჩენების შეგროვება,დამუშავება,შენახვა და ტრანსპორტირება უნდა განხორციელდეს სახეობების და მათი მახასიათებლების მიხედვით კანონმდებლობით დადგენილი წესით;

19.2.3.კოლეჯში სხვადასხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესში წარმოქნილი სახეობების მიხედვით ნარჩენების შეგროვება და აღდგენა/რეციკლირება(თუ ნარჩენის აღგდენა კანონით დასაშვებია) ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

19.2.4.კოლეჯის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შეგროვება და დასაწყობება ისე უნდა განხორციელდეს,რომ დაცული იქნეს ადამიანის ჯანმრთელობა და გარემო;

19.2.5.სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვა უნდა მოხდეს სპეციალურად გამოყოფილ კონტეინერში(ასეთის არსებობის შემთხვევაში),ხოლო უსაფრთხო ნარჩენების განთავსება შეიძლება მუნიციპალური ნაგავსაყრელისათვის განკუთვნილ სანაგვე კონტეინერებში;

19.2.6.ნაჩენების შეგროვებაზე და მისი უტილიზაციის პირობების დაცვაზე კონტროლიეკისრება კოლეჯს.

მუხლი 20.გარდამავალი დებულება

20.1.წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.